

“დამტკიცებულია“

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ

დადგენილება # 88, „11“ დეკემბერი 2013 წ.

**სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ერთიანი ბიუჯეტის და ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების ბიუჯეტების შედგენის წესი**

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთიანი ბიუჯეტის და ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების ბიუჯეტების შედგენის წესი შემუშავებულია „უმადლესი განათლების შესახებ“, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონების, „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“, სხვა სამართლებრივი აქტების, უნივერსიტეტის წესდების და სტრატეგიული გეგმის შესაბამისად.

მუხლი 2. წესის მიზნები

წინამდებარე წესი განსაზღვრავს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთიანი ბიუჯეტის და ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების ბიუჯეტების ფორმირების პრინციპებს და არეგულირებს ბიუჯეტების პროექტის მომზადებას, განხილვას, შეთანხმებას, დამტკიცებას, შესრულებას, ანგარიშგებას და კონტროლს.

მუხლი 3. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბიუჯეტო პროცესის ძირითადი პრინციპები

1. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთიანი საბიუჯეტო პროცესის ყველა ეტაპზე დაცული უნდა იყოს შემდეგი პრინციპები:
 - ა) ყოვლისმომცველობა – ერთიანი ბიუჯეტის და ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების ბიუჯეტების ყველა შემოსულობის, გადასახდელისა და ნაშთის ცვლილების სრულყოფილად ასახვა ბიუჯეტში;
 - ბ) გამჭვირვალობა – ერთიანი ბიუჯეტის და ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების ბიუჯეტების პროექტების აკადემიური საბჭოს მონაწილეობით წარმომადგენლობით საბჭოში განხილვის პროცედურების საჯაროობა; დამტკიცებული ერთიანი ბიუჯეტის და ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების ბიუჯეტების და მათი შესრულების შესახებ ანგარიშების გამოქვეყნება; ერთიანი ბიუჯეტის და ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების ბიუჯეტების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირისათვის;
 - გ) ანგარიშვალდებულება – საბიუჯეტო პროცესის მონაწილე ყველა პირის პასუხისმგებლობა მის მიერ განხორციელებულ საქმიანობაზე და ბიუჯეტის შესახებ წარმოდგენილ ინფორმაციაზე;
 - დ) დამოუკიდებლობა – სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთიანი ბიუჯეტის და ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების ბიუჯეტების დამოუკიდებლობა, რომელსაც უზრუნველყოფს საკუთარი შემოსულობები და ნაშთი, აგრეთვე საკუთარი გადასახდელის დამოუკიდებლად განსაზღვრის უფლება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
 - ე) ერთიანობა – ცენტრალური ხელისუფლების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, ერთიანი საბიუჯეტო კლასიფიკაციით, ანგარიშთა ერთიანი ჩამონათვალით, საბიუჯეტო დოკუმენტაციით, საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ზედამხედველობით სახელმწიფო ფინანსური კონტროლის ერთიანი პრინციპებით ხელმძღვანელობა;
 - ვ) კონსოლიდირება – ყველა შემოსულობის ერთიანი ანგარიშის სისტემაში მოქცევა და გადასახდელის გადახდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 4. საბიუჯეტო პროცესი

1. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთიანი ბიუჯეტის და ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების ბიუჯეტების შედგენის და საბიუჯეტო ურთიერთობების პროცესი მოიცავს: ბიუჯეტის პროექტების მომზადებას, წარდგენას, განხილვას, დამტკიცებას, დაზუსტებას, ბიუჯეტის შესრულებას, ანგარიშგებასა და კონტროლს.

მუხლი 5. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბიუჯეტო კლასიფიკაცია

1. უნივერსიტეტის ბიუჯეტის კლასიფიკაცია მოიცავს შემოსავლების, ხარჯების ეკონომიკურ, არაფინანსური აქტივებით ოპერაციების, ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების და მათზე ოპერაციების კლასიფიკაციებს, აგრეთვე ორგანიზაციულ კლასიფიკაციას. ორგანიზაციული კლასიფიკაცია, თავის მხრივ, მოიცავს გადასახდელებს პროგრამებისა და ღონისძიებების მიხედვით და განისაზღვრება ბიუჯეტით.

მუხლი 6. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები და გადასახდელები

1. ბიუჯეტის შემოსულობებია საანგარიშო პერიოდში ბიუჯეტში მიღებული ფულადი სახსრების ერთობლიობა:
 - ა) შემოსავლები, მათ შორის:
 - ა.ა) გადასახადები;
 - სწავლის საფასური, რომელიც ივარება სახელმწიფო სასწავლო გრანტით და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტით;
 - სწავლის საფასური, რომელიც ივარება სტუდენტის მიერ, ასევე სხვა ფასიანი სწავლებიდან მიღებული შემოსავლები;
 - დარგობრივი სამინისტროების მიერ გამოყოფილი პროგრამული დაფინანსება;
 - შესაბამისი ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი სახსრები;
 - ა.ბ) გრანტები;
 - ა.გ) სხვა შემოსავლები;
 - ბ) არაფინანსური აქტივები (არაფინანსური აქტივებით ოპერაციებიდან მიღებული სახსრები);
 - გ) ფინანსური აქტივები (ფინანსური აქტივებით ოპერაციებიდან მიღებული სახსრები, ნაშთის გამოყენების გარდა);
2. ბიუჯეტის გადასახდელებია საანგარიშო პერიოდში ბიუჯეტიდან გასაცემი ფულადი სახსრების ერთობლიობა:
 - ა) ხარჯები, მათ შორის:
 - ა.ა) შრომის ანაზღაურება;
 - ა.ბ) საქონელი და მომსახურება;
 - ა.გ) ძირითადი კაპიტალის მოხმარება
 - ა.დ) სუბსიდიები;
 - ა.ე) სოციალური უზრუნველყოფა;
 - ა.ვ) სხვა ხარჯები;
 - ბ) არაფინანსური აქტივები (არაფინანსური აქტივებით ოპერაციებისათვის მიმართული სახსრები);
 - გ) ფინანსური აქტივები (ფინანსური აქტივებით ოპერაციებისათვის მიმართული სახსრები, ნაშთის დაგროვების გარდა);

მუხლი 7. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიუჯეტის პროექტის მომზადება, წარდგენა, განხილვა და დამტკიცება

1. უნივერსიტეტის ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების მიერ საკუთარი ბიუჯეტის პროექტის შედგენასა და წარმომადგენლობითი საბჭოსთვის წარდგენას, წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ერთიანი ბიუჯეტის პროექტის ფორმირებასა და დამტკიცებას ხელმძღვანელობს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.
2. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთიანი ბიუჯეტის პროექტს ამზადებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან კოორდინაციით ფინანსური დაგეგმარების და შესყიდვების სამსახური.
3. ფინანსური დაგეგმარების და შესყიდვების სამსახური უნივერსიტეტის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან და ძირითად საგანმანათლებლო ერთეულებთან ერთად ყოველი წლის 15 ოქტომბრიდან იწყებს მუშაობას ერთიანი ბიუჯეტის და ფაკულტეტების საკუთარი ბიუჯეტების ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების განსაზღვრაზე.

4. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულები – ფაკულტეტები, სხვა სტრუქტურული ერთეულები და სტუდენტური თვითმართველობა ყოველი წლის 15 ნოემბრისათვის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს წარუდგენენ მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტებს, რომელიც სათანადოდ დასაბუთებული, უნდა ეყრდნობოდეს მიღებულ გაანგარიშებათა შედეგებს, ჩამოყალიბებულ დასკვნებსა და კონკრეტულ წინადადებებს.
5. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთიანი ბიუჯეტის და ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების საკუთარი ბიუჯეტის პროექტებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი დასამტკიცებლად წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს არაუგვიანეს ყოველი წლის 10 დეკემბრისათვის.
6. საბიუჯეტო წლის დაწყებამდე წარმომადგენლობით საბჭოს მიერ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთიანი ბიუჯეტის დაუმტკიცებლობის შემთხვევაში უნივერსიტეტის ადმინისტრაცია უფლებამოსილია წარმომადგენლობით საბჭოსთან შეთანხმებით ყოველთვიურად გასცეს გასული საბიუჯეტო წლის დამტკიცებული ასიგნებების არაუმეტეს 1/12-სა, გარდა სატენდერო მუხლით გათვალისწინებული შესყიდვებისა.

მუხლი 8. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიუჯეტში ცვლილებების შეტანა

1. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამტკიცებულ ერთიანი ბიუჯეტის ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკატორით გათვალისწინებულ მეორე თანრიგის (ორციფრიანი კოდით) მუხლობრივ განწერაში ცვლილებების შეტანა ხდება წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წარდგინებით;
2. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამტკიცებულ ერთიანი ბიუჯეტის ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკატორით გათვალისწინებულ მესამე და მეტი თანრიგის (სამციფრიანი და მეტი კოდით) მუხლობრივ განწერაში შესატანი ცვლილება, განახორციელოს ფინანსური დაგეგმარების და შესყიდვების სამსახურის უფროსმა ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან შეთანხმებით.

მუხლი 9. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიუჯეტის შესრულება

1. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაცია პასუხისმგებელია დამტკიცებული ერთიანი ბიუჯეტის, ხოლო ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების დეკანატები ფაკულტეტების საკუთარი ბიუჯეტის შესრულებაზე

მუხლი 10. ანგარიშგება სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიუჯეტის შესრულებაზე

1. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი გასული წლის დამტკიცებული ერთიანი ბიუჯეტის, ხოლო ფაკულტეტების დეკანები ფაკულტეტების საკუთარი ბიუჯეტების შესრულების შესახებ ანგარიშს წარმომადგენლობით საბჭოს წარუდგენენ არაუგვიანეს მიმდინარე წლის 15 აპრილისა.

მუხლი 11. საბიუჯეტო პროცესის საჯაროობა

1. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთიანი ბიუჯეტის და ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების საკუთარი ბიუჯეტების შესახებ ინფორმაციის ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირისათვის ხელმისაწვდომობის მიზნით დამტკიცებული ბიუჯეტი ქვეყნდება გაზეთში „მესხეთის უნივერსიტეტი“ და განთავსდება სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

შეტანილია ცვლილებები:

წარმომადგენლობითი საბჭოს დადგენილება N21, 19.07.2018 წ. ოქმი N5;